საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გალის წყალსაცავი

გალის წყალსაცავი, წყალსაცავი დას. საქართველოში, გალის მუნიციპალიტეტში, მდ. ერისწყალზე, (ოქუმის მარცხ. შენაკადი), სოფ. რეჩხთან. აშენდა 1969) ექსპლუატაციაშია 1972-იდან. წყალშემკრები აუზის ფართ. 166 კმ², სარკის ფართ. 8,2 კმ². წყლის საერთო მოცულობა 145 მლნ. მ³, სასარგებლო მოცულობა 145 მლნ. მ³, საშ. სიღრმე 17,7 მ, უდიდესი სიღრმე 42,3 მ. საზრდოობს ძირითადად მდ. ერისწყლისა და მდ. ენგურის ჩამონადენით, რ-იც წყალსაცავში ჩაედინება ენგურჰესის დაწნევითი დერივაციული გვირაბით. გ. წ-ის ფსკერი დაფარულია ალუვიონის სქელი ფენით, ნაპირები ზედა ნაწილში დამრეცია, ქვედაში – ციცაბო. აღინიშნება მეწყრული პროცესები. სანაპირო შემოსილია ბუჩქნარითა და მეორეული ტყით. გ. წ. ჯვრის წყალსაცავთან ერთად ქმნის კასკადს, რ-ის ძირითადი დანიშნულებაა მდ. ენგურის ჩამონადენის მრავალწლიური და მდ. ერისწყლის ჩამონადენის დღეღამური რეგულირება ენერგეტ. მიზნებისათვის.

ა. ჯავახიშვილი